ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 489

"24" დეკემბერი 2015 წ.

ქ. თბილისი

2012 წლის 30 მარტს საქართველოს მთავრობას, ქ. თბილისის მერიასა და სს "HUALING INTERNATIONAL SPECIAL ECONOMIC ZONE", სს "RUILONG INDUSTRIAL INVESTMENT" სს "ფანდ ინვესთმენთი"-ს შორის გაფორებული მიწის ნასყიდობისა და ინვესტირების შესახებ ხელშეკრულების (სანოტარო მოქმედების რეგ. №120370738) შესაბამისად, განსაზღვრულ უძრავ ნივთებზე (ბინებზე)რეგისტრირებული ვალდებულებისაგან მყიდველის გათავისუფლებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის, 127[2] მუხლის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, სს "HUALING INTERNATIONAL SPECIAL ECONOMIC ZONE"-ის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 23 დეკემბრის №51.26.1468 განკარგულების დანართში ჩამოთვლილი უძრავი ნივთების ნაწილის (ოლიმპიური სოფლის მე-5 კორპუსიდან 32 ბინა, მე-9 კორპუსიდან 48 ბინა) საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ვალდებულებისაგან გათავისუფლებაზე.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი